960

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

უმაღლესი საბჭოს

უწყებები

№ 8 (106) 20 ივლისი 1960 წ.

შინაარსი

ნაწილი პირველი

90. მეორე გენერალური შეთანხმება საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირსა და ინდონეზიის რესპუბლიკას შორის ეკონომიური და ტექნიკური თანამშრომლობის შესახებ.

91. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა კარანტინის დარგში და მცენარეთა დაავადებებისა და მავნებლებისაგან დაცვისა და ვეტერინარიის დარგში თანამშრომლობის თაობაზე შეთანხმებების რატიფიკაციის შესახებ.

92. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ს. მ. კუდრიავცევის კუბის რესპუბლიკაში სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად დანიშვნის შესახებ.

93. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა კაპიტან ვ. ა. პოლიაკოვის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ.

94. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სს რესპუბლიკაში მცხოვრები მრავალშვილიანი დედებისათვის „გმირი დედის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს ეკონომიურ კომისიაში.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს საკანონმდებლო განზრახულებათა კომისიებში.
საინფორმაციო ცნობა.

ნაწილი მეორე

განყოფილება პირველი

95. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა რადიოგადამცემ მოწყობილობათა უკანონო დამზადებისა და გამოყენებისათვის პასუხისმგებლობის შესახებ.

96. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საშენი მასალების უკანონო შეძენისათვის პასუხისმგებლობის შესახებ.

97. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ სასამართლო წყობილების შესახებ კანონის სამოქმედოდ შემოღებასთან დაკავშირებით საკანონმდებლო აქტების ძალადაკარგულად ცნობის შესახებ.

განყოფილება მეორე

98. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა მ. [illegible] მედლით „ხანძარზე მამაცობისათვის“ დაჯილდოების შესახებ.
99. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის საქმეში დაშვებული დარღვევების შესახებ.

განყოფილება მესამე

საინფორმაციო ცნობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაწილი პირველი

მეორე გენერალური შეთანხმება

90 საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირსა და ინდონეზიის რესპუბლიკას შორის ეკონომიური და ტექნიკური თანამშრომლობის შესახებ

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირსა და ინდონეზიის რესპუბლიკას შორის არსებული მეგობრული ურთიერთობიდან გამომდინარე, და ეკონომიური და ტექნიკური თანამშრომლობის 1956 წლის 15 სექტემბრის გენერალური შეთანხმების შესრულების გამოცდილების გათვალისწინებით, ორივე მთავრობა შეთანხმდნენ მეორე გენერალური შეთანხმების დადების შესახებ, რომლის მიზანია ხელი შეუწყოს ინდონეზიის ეკონომიკის შემდგომ საერთო განვითარებას. ეს შეთანხმება დამყარებულია მხარეთა ურთიერთ სარგებლიანობაზე, თანასწორობაზე, სუვერენიტეტის პატივისცემასა და საშინაო საქმეებში ჩაურევლობაზე.

მუხლი 1

სსრ კავშირის მთავრობა გამოთქვამს თანხმობას ითანამშრომლოს ინდონეზიის რესპუბლიკის მთავრობასთან სამრეწველო და სხვა ობიექტების აგებაში, მათ შორის შავი და ფერადი მეტალურგიის საწარმოების, ქიმიური მრეწველობის, ატომური ენერგიის მშვიდობიანი მიზნით გამოყენების, საფეიქრო საწარმოებისა და სოფლის მეურნეობის ობიექტების აგებაში, რომლებიც აუცილებელია ინდონეზიის რესპუბლიკის საერთო ეკონომიური განვითარებისათვის.

რაოდენობა და ხასიათი ასეთ და სხვა საწარმოებისა და ობიექტებისა, რომელთა მშენებლობა განხორციელდება სსრ კავშირის დახმარებით, მხარეთა ურთიერთ შეთანხმებით, განსაზღვრული იქნება უფრო გვიან სტადიაზე და საძიებო და საკვლევი სამუშაოების შედეგების გათვალისწინებით, რომლებიც შესრულებული იქნება საბჭოთა ორგანიზაციების მიერ ინდონეზიის ორგანიზაციებთან თანამშრომლობით.

მუხლი 2

ინდონეზიის რესპუბლიკის მთავრობის თხოვნით საბჭოთა ორგანიზაციები ინდონეზიის ორგანიზაციებთან თანამშრომლობით საწარმოებსა და ობიექტებზე ჩაატარებენ საძიებო და საკვლევ სამუშაოებს, რომლებიც ინდონეზიის რესპუბლიკაში აიგება საბჭოთა კავშირის დახმარებით.

საძიებო და საკვლევ სამუშაოთა ნუსხა, მოცულობა და შესრულების ვადები, ამ სამუშაოებში მხარეთა მონაწილეობის ხასიათი განსაზღვრული იქნება დამატებით შეთანხმებებში, რომლებიც დაიდება ამ გენერალური შეთანხმების შესაბამისად.

ნაჩვენები ძიების და კვლევის შედეგად მიღებული მონაცემების საფუძველზე, საბჭოთა ორგანიზაციები ინდონეზიის მხარეს გაუწევენ შესაბამის კონსულტაციებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუხლი 3

საბჭოთა ორგანიზაციები, გარდა 2 მუხლში გათვალისწინებული საძიებო და საკვლევი სამუშაოების ჩატარებისა, მზად არიან შეასრულონ იმ საწარმოებისა და ობიექტების საპროექტო სამუშაოები, რომლებიც უნდა აშენდეს საბჭოთა კავშირის დახმარებით, მიაწოდოს ამ საწარმოებისა და ობიექტებისათვის მოწყობილობა და მასალები, რომლებიც არ შეიძლება გამოინახოს ინდონეზიის რესპუბლიკაში, აგრეთვე გაუწიოს ტექნიკური დახმარება მშენებლობაში (კონსულტაციები და საავტორო მეთვალყურეობა), მოწყობილობათა დამონტაჟებასა და აწყობაში და საწარმოთა საექსპლუატაციოდ გადაცემაში, რისთვისაც გაგზავნიან ინდონეზიის რესპუბლიკაში საბჭოთა სპეციალისტებს და კვალიფიციურ მუშებს იმ რაოდენობით და ვადით, რომელზედაც მხარეები შეთანხმდებიან. საბჭოთა ორგანიზაციები აგრეთვე მზად არიან გაუწიონ დახმარება ინდონეზიელ სპეციალისტთა მომზადებაში, იმ საწარმოებში სამუშაოდ, რომელთა მშენებლობა იწარმოებს სსრ კავშირის დახმარებით, მათი ადგილზე სწავლების გზით, აგრეთვე მათი ანალოგიურ საბჭოთა საწარმოებში სწავლების გზით.

მოწყობილობისა და მასალების მიწოდების მოცულობა და ტექნიკური დახმარების გაწევა, 1 მუხლში გათვალისწინებული საწარმოებისა და ობიექტების მშენებლობასთან დაკავშირებით, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში შეთანხმებული იქნება მხარეებს შორის და განისაზღვრება დამატებით შეთანხმებებში, რომლებიც დაიდება ამ გენერალური შეთანხმების შესაბამისად.

მუხლი 4

საბჭოთა ორგანიზაციები ინდონეზიის მხარეს გადასცემენ იმ ტექნიკურ დოკუმენტაციას, ინფორმაციას და ლიცენზიებს, რომლებიც აუცილებელია შესაბამისი პროდუქციის წარმოების ორგანიზაციისათვის ამ გენერალური შეთანხმების შესაბამისად აშენებულ საწარმოებსა და ობიექტებზე. ნაჩვენები დოკუმენტაციის და წარმოებისათვის აუცილებელი ლიცენზიების გადაცემა განხორციელდება უსასყიდლოდ ინდონეზიის მხარის მხრივ საბჭოთა ორგანიზაციებისათვის მხოლოდ იმ ფაქტიური დანახარჯის ანაზღაურებით, რომელიც დაკავშირებულია დოკუმენტაციის მომზადებასთან.

გადასაცემი დოკუმენტაცია და ლიცენზიები გამოყენებული იქნება მხოლოდ ზემოაღნიშნული პროდუქციის წარმოების მიზნით ინდონეზიის რესპუბლიკის საზღვრებში.

მუხლი 5

სსრ კავშირის მთავრობა ინდონეზიის რესპუბლიკის მთავრობას მისცემს კრედიტს 250 მილიონი (ორას ორმოცდაათი მილიონი) ამერიკული დოლარის

ოდენობით წლიურ 2,5 პროცენტად ამ კრედიტის გამოყენების უფლებით 7 წლის განმავლობაში საბჭოთა ორგანიზაციების მიერ შესრულებული საპროექტო სამუშაოებისა და სსრ კავშირიდან ინდონეზიაში მიწოდებული მოწყობილობისა და მასალების ასანაზღაურებლად, რომელიც საჭიროა იმ საწარმოთა და ობიექტებისათვის, რომლებიც აშენდება საბჭოთა კავშირის დახმარებით ამ გენერალური შეთანხმების შესაბამისად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუხლი 6

ინდონეზიის რესპუბლიკის მთავრობა ყოველ საწარმოსა და ობიექტისათვის მიცემულ კრედიტს, თანახმად 5 მუხლისა, დაფარავს თანაბარი ყოველწლიური ნაწილებით 12 წლის განმავლობაში, დაწყებული ერთი წლიდან მას შემდეგ, რაც დამთავრდა სსრ კავშირიდან მოცემული საწარმოს ან ობიექტებისათვის მოწყობილობისა და მასალების კომპლექტური მიწოდება.

პროცენტები კრედიტზე დაირიცხება კრედიტის შესაბამისი ნაწილის გამოყენების თარიღიდან და გასტუმრებული იქნება იმ წლის პირველი კვარტალის განმავლობაში, რომელიც მოსდევს წელიწადს, რომლისთვისაც დარიცხულია პროცენტები.

მუხლი 7

სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკისა და ინდონეზიის ბანკის ურთიერთ შეთანხმებით კრედიტის დაფარვა და მასზე დარიცხული პროცენტების გასტუმრება ინდონეზიის რესპუბლიკის მთავრობამ უნდა აწარმოოს საბჭოთა კავშირში ინდონეზიური საქონლის მოწოდებით და/ან გირვანქა სტერლინგებით, აგრეთვე სხვა ვალუტით, რომელიც თავისუფლად კონვენსირდება.

კრედიტის დაფარვის და მასზე დარიცხული პროცენტების გასტუმრების მორიგი წლის დამდეგამდე სამი თვით ადრე მხარეები ყოველ კალენდარულ წელს შეთანხმდებიან საქონლის ნომენკლატურასა და ფასზე, აგრეთვე მათ რაოდენობასა და მოწოდების ვადებზე.

კრედიტის დაფარვის და მასზე დარიცხული პროცენტების გირვანქა სტერლინგებით ან თავისუფლად კონვენსირებული სხვა ვალუტით გასტუმრების დროს, გირვანქა სტერლინგების ან თავისუფლად კონვენსირებული სხვა ვალუტის გადაანგარიშება ამერიკულ დოლარებში მოხდება გადახდის დღეს არსებული პარიტეტის მიხედვით.

მუხლი 8

იმ მიზნით, რომ აღრიცხონ კრედიტის გამოყენება და დაფარვა და ამ კრედიტზე დარიცხული პროცენტების გასტუმრება სსრ კავშირის ბანკი და ინდონეზიის ბანკი გახსნიან სპეციალურ საკრედიტო ანგარიშებს და ერთობლივად დააწესებენ კრედიტის მიხედვით აღნიშნულ ანგარიშთა და ანგარიშსწორების წარმოების ტექნიკურ წესს.

მუხლი 9

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოთა მხარის ხარჯებს საბჭოთა სპეციალისტებისა და კვალიფიციური მუშების ინდონეზიის რესპუბლიკაში მივლინებისათვის და ინდონეზიელ მოქალაქეთა სსრ კავშირში საწარმოო-ტექნიკური სწავლებისა და პრაქტიკის გავლისათვის მიღებასთან დაკავშირებით აანაზღაურებს ინდონეზიის რესპუბლიკის მთავრობა ინდონეზიური რუპიებით, შესაბამისი თანხების სპეციალურ ანგარიშზე ჩარიცხვის გზით, რომელსაც სსრ კავშირის ბანკი გახსნის ინდონეზიის ბანკში ამ სამსახურის გამწევ საბჭოთა ორგანიზაციების სასარგებლოდ. თანხები ამ ანგარიშიდან საბჭოთა ორგანიზაციების მიერ შეიძლება გამოყენებულ იქნას მიმდინარე ხარჯებისათვის ინდონეზიის რესპუბლიკაში, აგრეთვე, სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკსა და ინდონეზიის ბანკს შორის შეთანხმებით, სხვა გადასახდელებზე.

ამერიკულ დოლართან შეფარდებით ინდონეზიის რუპიის პარიტეტის შეცვლის შემთხვევაში, რომელიც ამჟამად შეადგენს 45 ინდონეზიურ რუპიას ერთი ამერიკული დოლარის სანაცვლოდ, სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკი და ინდონეზიის ბანკი მოახდენენ ამ მუხლში მითითებულ, სპეციალურ ანგარიშზე არსებულ სალდოს სათანადო გადაანგარიშებას.

მუხლი 10

ამ გენერალური შეთანხმებით გათვალისწინებული საძიებო, საკვლევი და საპროექტო სამუშაოების შესრულება, მოწყობილობისა და მასალების მიწოდება, საბჭოთა სპეციალისტების ინდონეზიის რესპუბლიკაში მივლინება და სსრ კავშირში ინდონეზიელ მოქალაქეთა სასწავლებლად მიღება საბჭოთა ორგანიზაციების მიერ მოხდება კონტრაქტების საფუძველზე, რომლებიც დაიდება ინდონეზიის მთავრობის რწმუნების მქონე ინდონეზიის ორგანიზაციებთან.

ამ კონტრაქტებში დაწვრილებით იქნება განსაზღვრული მოცულობა, ფასები, ვადები და სხვა პირობები მოწყობილობისა და მასალების მოწოდებისა და ამ გენერალური შეთანხმებით გათვალისწინებული მომსახურებისა.

ეს გენერალური შეთანხმება რატიფიცირებულ უნდა იქნას თვითეულ ქვეყანაში დადგენილი წესის შესაბამისად და ძალაში შევა სარატიფიკაციო სიგელების გაცვლის შემდეგ, რაც მოხდება მოსკოვში.

დადებულია ქალაქ ბოგორში 1960 წლის 28 თებერვალს ორ დედან ეგზემპლარად, თვითეული რუსულ და ინდონეზიურ ენებზე, ამასთან ორივე ტექსტს თანაბარი ძალა აქვს.

ნ. ხრუშჩოვი
სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე

სუკარნო
ინდონეზიის რესპუბლიკის
პრეზიდენტი

* * *

რატიფიცირებულია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ 1960 წლის 27 ივნისს; ინდონეზიის პრეზიდენტის მიერ—1960 წლის 21 ივნისს.

სარატიფიკაციო სიგელების გაცვლა მოხდა მოსკოვში 1960 წლის 1 ივლისს,

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

91 კარანტინის დარგში და მცენარეთა დაავადებებისა და მავნებლებისაგან დაცვისა და ვეტერინარიის დარგში თანამშრომლობის თაობაზე შეთანხმებების რატიფიკაციის შესახებ

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ დამტკიცებული და სარატიფიკაციოდ წარმოდგენილი:

შეთანხმება კარანტინის დარგში და მცენარეთა დაავადებებისაგან და მავნებლებისაგან დაცვის თაობაზე თანამშრომლობის შესახებ და

შეთანხმება ვეტერინარიის დარგში თანამშრომლობის შესახებ, ხელმოწერილი სოფიაში 1959 წლის 14 დეკემბერს, **რატიფიცირებულ იქნას.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1960 წლის 25 ივნისი.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

92 ს. მ. კუდრიავცევის კუბის რესპუბლიკაში სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად დანიშვნის შესახებ

დაინიშნოს სერგი მიხეილის ძე **კუდრიავცევი** კუბის რესპუბლიკაში სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1960 წლის 6 ივლისი.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

93 კაპიტან ვ. ა. პოლიაკოვის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ

საბრძოლო დავალების შესრულებისათვის — ამერიკის შეერთებული შტატების იმ მზვერავი თვითმფრინავის მოსპობისათვის, რომელიც 1960 წლის 1 ივლისს შემოიჭრა საბჭოთა კავშირის ფარგლებში, კაპიტანი ვასილ ამბროსის ძე **პოლიაკოვი** დაჯილდოებულ იქნას **წითელი დროშის** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1960 წლის 12 ივლისი.

94 საქართველოს სს რესპუბლიკაში მცხოვრები მრავალშვილიანი დედებისათვის „გმირი დედის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

მიენიჭოთ **„გმირი დედის“** საპატიო წოდება და გადაეცეთ **„გმირი დედის“** ორდენი და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სიგელები დედებს, რომლებმაც შობეს და აღზარდეს ათი და მეტი შვილი:

1. პეტო ხაჩატურის ასულ **ამბარცუმიანს** — დიასახლისს, სოფელი ხანდო, ახალქალაქის რაიონი

2. სელენ არუთინის ასულ **არუთინიანს** — დიასახლისს, სოფელი მოლითი, ბორჯომის რაიონი

3. საშა იასონის ასულ **ბაჩაძეს** — სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრს, ლაგოდეხის რაიონი

4. საბეთა ეფრემის ასულ **ბერიძეს** — „ოქტომბრის დროშის“ სახელობის კოლმეურნეობის წევრს, ახალქალაქის რაიონი

5. ვერა იტერის ასულ **გრიგოლიას**—კოლმეურნეს, სოფელი ზვანდრიპში, გუდაუთის რაიონი აფხაზეთის ასსრ

6. ნატალია გიორგის ასულ **გურჩიანს** — რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობის წევრს, ოჩამჩირის რაიონი აფხაზეთის ასსრ

7. ვალენტინა გიორგის ასულ **ლუშნიკოვას** — დიასახლისს, ქ. გუდაუთა აფხაზეთის ასსრ

8. გოარიკ აკოფის ასულ **მაგარიანს**—კოლმეურნეობა „განთიადის“ წევრს, სოხუმის რაიონი აფხაზეთის ასსრ

9. მაგრუნ პეტროსის ასულ **მკოიანს** — დიასახლისს, სოფელი დილისკა, ახალქალაქის რაიონი

10. ოსკინ ამბარის ასულ **ნურჯანიანს** — დიასახლისს, სოფელი ხანდო, ახალქალაქის რაიონი

11. როზინა კიბილოს ასულ **ჯაჯიევას** — კოლმეურნე, სოფელი კობეთი, ჯავის რაიონი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1960 წლის 15 ივლისი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს ეკონომიურ კომისიაში

ა. წ. 7 ივლისიდან 12 ივლისამდე ამხ. ო. ი. ივაშჩენკოს თავმჯდომარეობით შედგა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს ეკონომიური კომისიის სხდომები. კომისიის სხდომებზე მოისმინეს და განიხილეს მოხსენებები:

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოკავშირე რესპუბლიკების სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების ზოგიერთი საკითხების შესახებ;

სახელმწიფო პენსიების დანიშვნისადმი საზოგადოებრივი ორგანიზაციების მხრივ კონტროლის გაძლიერების შესახებ;

მოკავშირე რესპუბლიკებში საცალო საქონელბრუნვის დაგეგმვის პრაქტიკის გაუმჯობესების შესახებ.

დასახელებული საკითხების განხილვა მოხდა როგორც კომისიის პლენარულ სხდომებზე, ასევე შესაბამის ქვეკომისიებში.

ამ საკითხების განხილვის შედეგად ეკონომიური კომისიის მიერ მომზადებულია შესაბამისი წინადადებები, რომლებიც მიმართულია კოლმეურნეობათა საფინანსო მეურნეობის შემდგომი განმტკიცებისაკენ, სახელმწიფო პენსიების დანიშვნის საკითხთა განხილვის პრაქტიკის გაუმჯობესებისაკენ და მოკავშირე რესპუბლიკებში საცალო საქონელბრუნვის დაგეგმვის საკითხში ნაკლოვანებათა აღმოფხვრისაკენ.

კომისიის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის, სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს, სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს, საკავშირო პროფსაბჭოს წარმომადგენლებმა, აგრეთვე ცალკეული რესპუბლიკური სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელებმა.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს საკანონმდებლო განზრახულებათა კომისიებში

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს საკანონმდებლო განზრახულებათა კომისიებმა მიიღეს გადაწყვეტილება საზოგადოებრიობის განსახილველად ჟურნალებში „სოვეტსკოე გოსუდარსტვო ი პრავო“, „სოვეტი დეპუტატოვ ტრუდიაშჩიხსია“, „სოციალისტიჩესკაია ზაკონოსტ“, „სოვეტსკაია იუსტიცია“ და „ბიულეტენ ვერხოვნოგო სუდა სსსრ“, გამოაქვეყნონ სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო კანონმდებლობის საფუძვლების პროექტი და სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო სამართალწარმოების საფუძვლების პროექტი, ხოლო სამოქალაქო კანონმდებლობის საფუძვლების პროექტი, გარდა ამისა, — ჟურნალში „ვოპროსი ეკონომიკი“.

განხილვის შემდეგ ეს კანონპროექტები საკანონმდებლო განზრახულებათა კომისიების მიერ შეტანილი იქნება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს განსახილველად და დასამტკიცებლად.

გამოქვეყნებული კანონპროექტების მიმართ შენიშვნები და წინადადებანი გამოგზავნილ უნდა იქნას მისამართით: მოსკოვი, კრემლი, კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს საკანონმდებლო განზრახულებათა კომისიებს.

საინფორმაციო ცნობა

განათლების საქმეში და კომუნიზმის სულისკვეთებით ახალგაზრდა თაობის აღზრდაში დიდი დამსახურებისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს

ეროვნული ბიბლიოთეკა

პრეზიდიუმმა 1960 წლის 11 ივლისის ბრძანებულებით სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით დააჯილდოვა ყველა მასწავლებელი და სახალხო განათლების მუშაკი, რომელთაც პატივი ხვდათ ყოფილიყვნენ არჩეული რუსეთის ფედერაციის წვლებელთა ყრილობაზე.

სულ დაჯილდოებულია 1204 კაცი, მათ შორის **ლენინის** ორდენით 86, **შრომის წითელი დროშის ორდენით** — 163 კაცი, **„საპატიო ნიშნის“** ორდენით — 258 და მედლით **„შრომითი მამაცობისათვის“** — 697 კაცი.

ნაწილი მეოთხე

განყოფილება პირველი

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

95 რადიოგადამცემ მოწყობილობათა უკანონო დამზადებისა და გამოყენებისათვის პასუხისმგებლობის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. რადიოგადამცემ მოწყობილობათა სათანადო ნებართვის გარეშე დადგმა, დამზადება ან გამოყენება გამოიწვევს საზოგადოებრივი ზემოქმედების ზომების მიღებას ან ადმინისტრაციულ ზემოქმედებას ჯარიმის სახით ხუთასი მანეთის ოდენობით, რადიოგადამცემ მოწყობილობათა კონფისკაციით.

რადიოგადამცემ მოწყობილობათა სათანადო ნებართვის გარეშე განმეორებით დადგმა, დამზადება ან გამოყენება, რაც ჩადენილია ზემოქმედების აღნიშნული ზომების შეფარდების შემდეგ, გამოიწვევს დამნაშავე პირების დაჯარიმებას სამმაგი ოდენობით.

2. მასალები რადიოგადამცემ მოწყობილობათა უკანონო დადგმისა, დამზადებისა ან გამოყენების შესახებ განიხილება სახალხო მოსამართლის მიერ ერთპიროვნულად მილიციის ორგანოებიდან სასამართლოში მათი მიღების სამი დღის განმავლობაში, დამრღვევი პირის, ხოლო აუცილებელ შემთხვევაში აგრეთვე მოწმეთა გამოძახებით.

სახალხო მოსამართლის დადგენილება დაჯარიმების შესახებ აღსრულებულ უნდა იქნას დაუყოვნებლივ და გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

3. სახალხო მოსამართლის დადგენილება რადიოგადამცემ მოწყობილობათა უკანონო დადგმისა, დამზადებისა ან გამოყენებისათვის პასუხისგებაში მიცემის შესახებ შეიძლება გაუქმდეს ან შეიცვალოს პროკურორის პროტესტით თვით სახალხო მოსამართლის მიერ, აგრეთვე შესაბამისი ზემდგომი სასამართლოს თავმჯდომარის მიერ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. გელდიაშვილი.

ქ. თბილისი, 1960 წლის 16 ივლისი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

96 საშენი მასალების უკანონო შეძენისათვის პასუხისმგებლობის შესახებ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინდივიდუალური საბინაო მშენებლობისათვის საშენი მასალების შეძენაში წესრიგის დამყარების მიზნით, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. დაწესდეს, რომ ინდივიდუალური საბინაო მშენებლობისათვის საშენი მასალების შეძენის წესის დამრღვევი დაისჯება თავისუფლების აღკვეთით ორ წლამდე ვადით ან გამასწორებელი მუშაობით ერთ წლამდე ვადით, საშენი მასალების ან იმ შენობის კონფისკაციით, რომელზედაც ეს მასალები იყო გამოყენებული.

2. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დაამტკიცოს დებულება ინდივიდუალური საბინაო მშენებლობის შესახებ და დაადგინოს საშენი მასალების შეძენის წესი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. გელდიაშვილი.

ქ. თბილისი, 1960 წლის 16 ივლისი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

97 საქართველოს სსრ სასამართლო წყობილების შესახებ კანონის სამოქმედოდ შემოღებასთან დაკავშირებით საკანონმდებლო აქტების ძალადაკარგულად ცნობის შესახებ

იმასთან დაკავშირებით, რომ საქართველოს სსრ უმაღლესმა საბჭომ 1960 წლის 25 ივნისს მიიღო კანონი საქართველოს სსრ სასამართლო წყობილების შესახებ და დადგენილება საქართველოს სსრ სასამართლო წყობილების კანონის სამოქმედოდ შემოღების წესის შესახებ, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

ცნობილ იქნას ძალადაკარგულად საკანონმდებლო აქტები, თანახმად დანართისა.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. გელდიაშვილი.

ქ. თბილისი, 1960 წლის 16 ივლისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნუსხა

საკანონმდებლო აქტებისა, რომლებმაც მთლიანად ან ნაწილობრივ დაკარგეს ძალა საქართველოს სსრ სასამართლო წყობილების კანონის სამოქმედოდ შემოღებასთან დაკავშირებით:

1. სრულიად საქართველოს საბჭოთა ცაკის 1923 წლის 17 აგვისტოს დადგენილება № 52 „საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის სასამართლოს წყობილების დებულების სამოქმედოდ შემოღების შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1923 წ. № 2, მუხ. 10).

2. სრულიად საქართველოს საბჭოთა ცაკის 1924 წლის 19 აპრილის დადგენილება № 88 „საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის სასამართლოს წყობილების დებულების ზოგიერთი ცვლილებისა და დამატების შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1924 წ. № 1, მუხ. 20).

3. სრულიად საქართველოს საბჭოთა ცაკის 1924 წლის 11 აგვისტოს დადგენილება № 103 „სასამართლოს წყობილების დებულების III კარის ზოგიერთი მუხლის შეცვლის შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1924 წ. № 3, მუხ. 7).

4. სრულიად საქართველოს საბჭოთა ცაკის 1925 წლის 30 ოქტომბრის დადგენილება № 56 „სასამართლოს წყობილების დებულების ცვლილებისა და დამატების შესახებ“ მიღებულია მესამე მოწვევის ცაკის მე-2 სესიაზე 1925 წ. 18 ივლისს (საქ. სსრ კან. კრ. 1925 წ., № 3, მუხ. 79).

5. სრულიად საქართველოს საბჭოთა ცაკის და საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს 1927 წლის 31 ოქტომბრის დადგენილება № 90 „საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკაში საოლქო სასამართლოების და საოლქო პროკურატურის გაუქმებისა და სამაზრო სასამართლოების და სამაზრო პროკურატურის დაარსების შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1927 წ. № 10, მუხ. 145).

6. სრულიად საქართველოს საბჭოთა ცაკის და საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს 1928 წლის 10 იანვრის დადგენილება № 2 „მოსამართლის მოვალეობის აღსასრულებლად სახალხო მსაჯულთა გაწვევის წესის შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1928 წ. № 1, მუხ. 2).

7. სრულიად საქართველოს საბჭოთა ცაკის და საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს 1928 წლის 18 აპრილის დადგენილება № 20 „საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სასამართლოს წყობილების დებულების 103 და 104 მუხლების შეცვლის შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1928 წ. № 6, მუხ. 4).

8. სრულიად საქართველოს ცაკის და საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს 1929 წლის 23 იანვრის დადგენილება „სასამართლოს წყობილების დებულებისათვის 106[1] მუხლის დამატების შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1929 წ. № 3, მუხ. 29).

9. სრულიად საქართველოს IV მოწვევის ცაკის მე-5 სესიის 1929 წლის 1 მარტის დადგენილება „სასამართლოს წყობილების დებულების იმ ცვლილებისა და დამატების დამტკიცების შესახებ, რაც მიღებულ იქნა სრულიად საქართველოს ცაკის სესიებს შუა“ (საქ. სსრ კან. კრ. 1929 წ. № 11, მუხ. 90).

10. სრულიად საქართველოს ცაკის და საქართველოს სსრ სახკომსაბჭის 1929 წლის 10 მაისის დადგენილება „საქართველოს სსრ სასამართლოს წყობილების დებულების შეცვლის შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1929 წ. № 12, მუხ. 107).

11. სრულიად საქართველოს V მოწვევის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მე-2 სესიის 1930 წლის 17 იანვრის დადგენილება „საქართველოს სსრ-ის კოდექსების იმ ცვლილებისა და დამატების დამტკიცების შესახებ, რაც მიღებულ იქნა სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის სესიებს შუა“ იმ ნაწილში, რომელიც ეხება სასამართლო წყობილების დებულებას (საქ. სსრ კან. კრ. 1930 წ. № 7, მუხ. 59).

12. სრულიად საქართველოს V მოწვევის ცაკის მე-2 სესიის 1930 წლის 17 იანვრის დადგენილება „საქართველოს სსრ იუსტიციის სახალხო კომისარიატის რეორგანიზაციის შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1930 წ. № 7, მუხ. 61).

13. სრულიად საქართველოს ცაკის და საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს 1932 წლის 13 მაისის დადგენილება „შრომისა და წარმოების დაცვისათვის სახალხო სასამართლოს განსაკუთრებული სესიების მოწყობის შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1932 წ. № 13, მუხ. 114).

14. სრულიად საქართველოს ცაკის და საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს 1933 წლის 4 იანვრის დადგენილება „საქართველოს სსრ-ის იუსტიციის სახალხო კომისარიატის მოწყობის შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1933 წ. №4, მუხ. 64).

15. სრულიად საქართველოს ცაკის და საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს 1934 წლის 16 ივნისის დადგენილება „საქართველოს სსრ უზენაესი სასამართლოს კომპეტენციის გაფართოების შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1934 წ. № 19, მუხ. 172).

16. სრულიად საქართველოს ცაკის და საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს 1934 წლის 15 ივლისის დადგენილება „საქართველოს სსრ იუსტიციის სახალხო კომისარიატის რეორგანიზაციის შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1934 წ. № 21, მუხ. 189).

17. სრულიად საქართველოს ცაკის და საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს 1935 წლის 1 ივლისის დადგენილება „საქართველოს სსრ იუსტიციის სახალხო კომისარიატის რეორგანიზაციის თაობაზე გამოცემული დადგენილების დამატების შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1935 წ. № 23, მუხ. 136).

18. სრულიად საქართველოს ცაკის და საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს 1935 წლის 1 ივლისის დადგენილება „საქართველოს სსრ უზენაესი სასამართ-

ლოს ორგანიზაციასა და ფუნქციებში ცვლილებების შეტანის შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1935 წ. № 23, მუხ. 137).

19. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1939 წლის 11 ივლისის ბრძანებულება „სამხრეთ ოსეთის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტთან საქართველოს სსრ იუსტიციის სახალხო კომისარიატის სამმართველოს შექმნის შესახებ“ (საქ. სსრ უწყებები, 1939 წ. № 1/3).

20. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1956 წ. 3 აგვისტოს ბრძანებულება „საქართველოს სსრ ზოგიერთ რაიონსა და ქალაქში სახალხო სასამართლოების გაერთიანების შესახებ“ (საქ. სსრ უწყებები, 1956 წ. № 1/70).

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. გელდიაშვილი.

განკოფილება მეორე

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

98 მ. ო. ყიფიანის მედლით „ხანძარზე მამაცობისათვის“ დაჯილდოების შესახებ

ხანძრის ჩაქრობის დროს გამბედაობისა და თავგანწირულობის გამოჩენისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით დაჯილდოვდეს მედლით **„ხანძარზე მამაცობისათვის“** საჩხერის საქალაქო სახანძრო რაზმის ათეულის მეთაური მიხეილ ოქროპირის ძე **ყიფიანი.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. გელდიაშვილი.

ქ. თბილისი, 1960 წლის 16 ივლისი.

დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

99 ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის საქმეში დაშვებული დარღვევების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ „ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის საქმეში დაშვებული დარღვევების შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1956 წლის 6 თებერვლის დადგენილებით დასახულ ღონისძიებათა გატარების შედეგად რიგი რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებმა გამოასწორეს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის საქმეში არსებული ნაკლოვანებები. მიუხედავად ამისა ზოგიერთი რაისაბჭოს აღმასკომი კვლავ არ აქცევს სერიოზულ ყურადღებას ამ მნიშვნელოვან საკითხს და უშვებს დარღვევებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების ზოგიერთი რაიაღმას-კომი სხვადასხვა საბჭოში შემავალი კოლმეურნეობების გაერთიანების დროს არ ახდენს საბჭოს ტერიტორიის საზღვრის შეცვლას ან მოსახლეობის სხვა ად-გილებში ჩასახლების შემთხვევაში არ აუქმებს სოფელს და არ იღებს სათანადო გადაწყვეტილებას ტერიტორიული ცვლილებების შესახებ ან გადაწყვეტილება გამოაქვს დიდი დაგვიანებით.

1959 წლის დასაწყისში ხაშურის რაიონის 8 სასოფლო საბჭოში და თეთრი-წყაროს რაიონის 9 სასოფლო საბჭოში მოხდა ასეთი ტერიტორიული ცვლილე-ბები, მაგრამ აღნიშნულმა რაიაღმასკომებმა ამის შესახებ სათანადო გადაწყვე-ტილებები მიიღეს მხოლოდ პრეზიდიუმის განყოფილების მოთხოვნის შემდეგ, ისიც მიმდინარე წლის იანვარ-თებერვალში.

მთელ რიგ გაუქმებულ სოფლებში მოსახლეობა ისევ დასახლდა, ხოლო რაიაღმასკომები არ ახდენენ სათანადო რეაგირებას ამ ფაქტებზე. ჩხოროწყუს რაიონის სოფელი ლექობალე გაუქმებულია საქართველოს სსრ უმაღლესი საბ-ჭოს პრეზიდიუმის 1951 წლის ბრძანებულებით, მოსახლეობის საცხოვრებლად სხვაგან გადასვლის გამო, მაგრამ იქ ამჟამად დასახლებულია 300-ზე მეტი მცხოვ-რები, რომლებიც არსად არ არიან მიწერილნი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1954 წლის 31 დეკემ-ბრის ბრძანებულებით მოსახლეობის სხვა ადგილებში ჩასახლების გამო დუ-შეთის რაიონის 20-ზე მეტ გაუქმებულ სოფელში მოსახლეობის სრულიად სა-კავშირო აღწერის დროს აღწერილია მოსახლეობა და ეს სოფლები შეტანილია დასახლებული პუნქტების სიაში ძველი სახელწოდებით, მაშინ როდესაც მათი აღდგენა არ არის დაკანონებული.

ასეთივე მდგომარეობას ადგილი აქვს გურჯაანის, მცხეთის, ყვარლის და რიგ სხვა რაიონებში.

რიგი რაიაღმასკომები დასახლებული პუნქტების სიების შედგენის დროს არ იცავენ სიზუსტეს და ერთსა და იმავე სოფელს სწერენ ხან ერთ სოფლად, ხან ორ და ზოგჯერ სამ სოფლად, მისი უბნებისა ან მცხოვრებთა გვარეულობის მიხედვით. ლაგოდეხის რაიონში სოფელ გურგენიანს ზოგჯერ სთვლიან ერთ სოფლად, ზოგიერთ შემთხვევაში კი ორ სოფლად — ზემო გურგენიანად და ქვემო გურგენიანად. წალენჯიხის რაიაღმასკომმა სოფელი მაზანდარა დასახლე-ბული პუნქტების სიაში შეიტანა ორ სოფლად — ქვემო მაზანდარად და ზემო მაზანდარად, ხოლო თიანეთის რაიაღმასკომმა სოფელ თიანეთის უბნები ბადაა-ნი და საჯინიბო სიაში შეიტანა ცალკე სოფლებად.

ადგილი აქვს აგრეთვე სოფლების არასწორად გაუქმებას, სახელწოდებათა თვითნებურად შეცვლას ან მათი მართლწერის დარღვევას.

ჯავის რაიონში სოფელი როკა შეტანილია მოსახლეობის აღწერის სიებში „როკის", სოფელი კოშკა—„კუსდჟიტას", ზნაურის რაიონის სოფელი ძველე-თი „ზივლეთის" სახელწოდებებით და სხვა.

ჩოხატაურის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომმა 1960 წლის 11 თებერვლის გადაწყვეტილებით გააუქმა სოფელი სურები იმ მოტივით, რომ თითქოს იგი არ წარმოადგენს ცალკე დამოუკიდებელ სოფელს

იმ დროს, როდესაც ეს სოფელი მოსახლეობის სრულიად საკავშირო აღწერის დროს შეტანილია სიებში, როგორც ცალკე სოფელი — 240 მცხოვრებით; ამაგე გადაწყვეტილებით მან განმეორებით გააუქმა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ 1955 წელს გაუქმებული სოფელი წიაღობანი.

ბიბლიოთეკა

მაიაკოვსკის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომმა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ 1947 წლის 8 აპრილს გაუქმებული სოფლები: ნებიერეთი, ალისმერეთი, წყალთაშუა, კორინი, ვენახის ჭალა და კაკასხიდი მოსახლეობის სრულიად საკავშირო აღწერის სიებში შეიტანა ხუტორების სახით, მაშინ, როდესაც საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ დაყოფაში დასახლების ასეთი კატეგორია არ არსებობს.

მშრომელთა დეპუტატების რაისაბჭოს ზოგიერთი აღმასკომი არასწორად ახდენს სოფლების გაერთიანებას და ერთი სასოფლო საბჭოდან მეორე სასოფლო საბჭოში გადატანას.

ბათუმის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომმა 1951 წელს აჭარის აღმართის სასოფლო საბჭოს სოფელი ზემო ჩხუტუნეთი და სოფელი ქვემო ჩხუტუნეთი გააერთიანა ერთ სოფლად ჩხუტუნეთის სახელწოდებით, მათ შორის ბუნებრივი საზღვრის წამლის გამო, მაგრამ მიმდინარე წელს კი ისინი კვლავ ცალკე სოფლებად აღადგინა.

ქარელის რაიონში ტყემლოვანის სასოფლო საბჭოს გამოეყო სოფელი აბუხალო და მიეკუთვნა ზღუდრის სასოფლო საბჭოს, ხოლო შემდეგ ისევ დაუქვემდებარდა ტყემლოვანის სასოფლო საბჭოს; ხაშურის რაიონის ოსიაურის სასოფლო საბჭოს გამოეყო ახალსოფელი და მიეკუთვნა გომის სასოფლო საბჭოს, რამდენიმე ხნის შემდეგ კი იგი ისევ დაუქვემდებარდა ოსიაურის სასოფლო საბჭოს.

ზოგიერთი რაიაღმასკომი ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ დაყოფას ახდენს საკითხის წინასწარ შეუსწავლელად და თავის გადაწყვეტილებას უდგენს დასამტკიცებლად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს საჭირო მასალების გარეშე.

ადგილი აქვს აგრეთვე დაუსაბუთებლად სასოფლო საბჭოს ცენტრის ერთი ადგილიდან მეორეზე გადატანას, რაც იწვევს მუშაობის გართულებას.

ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის საქმეში არსებული დარღვევების გამოსწორების მიზნით საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. დაევალოს საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების სამხრეთ ოსეთის საოლქო, რაიონულ და საქალაქო საბჭოების აღმასკომებს:

ა) ერთი თვის ვადაში შეამოწმონ ოლქის, რაიონის და ქალაქის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის მდგომარეობა, განიხილონ ეს საკითხი აღმასკომის სხდომებზე და მიიღონ საჭირო ზომები არსებულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად;

ბ) არ დაუშვან საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების გარეშე სოფლების ერთი საბჭოდან მეორე საბჭოში გადატანა, საბჭოს ცენტრის შეცვლა, საბჭოების, სოფლების გაერთიანება, გაყოფა, აღდგენა,

შექმნა, გადარქმევა, სოფლის უბნის ცალკე სოფლად ან შედგენილი სახელწოდების მქონე (ზემო, ქვემო, დიდი, პატარა და ა. შ.) სოფლების ერთ სოფლად აღრიცხვა;

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ) უახლოეს დროში შეისწავლონ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით იმ გაუქმებული სოფლების მდგომარეობა, რომლებშიაც ამჟამად არის მოსახლეობა და დააყენონ საკითხი ზემდგომი ორგანოების წინაშე;

დ) შეამოწმონ ის სოფლები, რომლებიდანაც გეგმიანი წესით ან სხვა მიზეზით მოსახლეობა მთლიანად არის გადასული სხვა ადგილებში საცხოვრებლად და მიიღონ ზომები მათი გაუქმების გასაფორმებლად;

ე) შეადგინონ რაიონში არსებული დასახლებული პუნქტების ზუსტი სიები მათი დადგენილი სახელწოდებებით, მართლწერის დაცვით და არ დაუშვან შემდგომში ამ სიებში მექანიკურად ცვლილებების შეტანა, ამასთან აუკრძალონ რაიაღმასკომის განყოფილებებს და სხვა დაწესებულება-ორგანიზაციებს რაიაღმასკომის მიერ დაუმოწმებელი სიების გამოყენება და ზემდგომ ორგანოებში გაგზავნა.

2. დაევალოს მშრომელთა დეპუტატების რაიონულ და საქალაქო საბჭოების აღმასკომებს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ცვლილებების შესახებ გადაწყვეტილება მიიღონ საკითხის წინასწარ გულმოდგინედ შესწავლის შემდეგ და ზემდგომ ორგანოებში დასამტკიცებლად წარადგინონ შემდეგი მასალები:

ა) მოხსენებითი ბარათი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ცვლილებების დასაბუთებით;

ბ) ცნობები იმ საბჭოების შესახებ, რომლებსაც ეხებათ ტერიტორიული ცვლილება, მათში შემავალი სოფლების, კომლთა, მცხოვრებთა, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების და საბჭოების დეპუტატების რიცხვის შესახებ, როგორც ცვლილებამდე, ისე ცვლილების შემდეგ;

გ) მცირე მასშტაბის სქემატური რუკა საბჭოებში შემავალი სოფლებისა, მათგან საბჭოს ცენტრამდე მანძილისა და საბჭოების ძველი და ახალი საზღვრების აღნიშვნით.

3. დაევალოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საბჭოების მუშაობის საკითხების განყოფილებას (ამხ. მ. ბიბილაშვილი) თვალყური ადევნოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის მდგომარეობას და საჭირო შემთხვევაში აღმოუჩინოს საბჭოების აღმასკომებს სათანადო დახმარება.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. გელდიაშვილი.

ქ. თბილისი, 1960 წლის 16 ივლისი.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ᲡᲐᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲝ ᲪᲜᲝᲑᲐ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1944 წლის 18 აგვისტოს ბრძანებულების საფუძველზე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1960 წლის 16 ივლისის ბრძანებულებით დააჯილდოვა „სახელოვანი დედის“ ორდენებითა და „დედობის მედლის“ მედლებით 401 მრავალშვილიანი დედა, მათ შორის:

ქ. თბილისი		39
ქ. ქუთაისი		14
ქ. ჭიათურა		45
ადეგენის	რაიონი	6
ახალქალაქის	„	33
გეგეჭკორის	„	7
გურჯაანის	„	3
დმანისის	„	57
ზუგდიდის	„	15
თელავის	„	5
კასპის	„	14
ლანჩხუთის	„	15
ლენტეხის	„	10
მცხეთის	„	25
ორჯონიკიძის	„	25
სამტრედიის	„	35
ტყიბულის	„	8
ყაზბეგის	„	8
ყვარლის	„	9
ცხაკაიას	„	18
წულუკიძის	„	10